გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, საერთაშორისო მნიშვნელობის **მცხეთა–სტეფანწმინდა–ლარსის(რუსეთის ფედერაციის საზღვარი)** საავტომობილო გზის **გუდაური(ფოსტა)-კობის** მონაკვეთზე ინტენსიური თოვის და ჰაერის მაღალი ტემპერატურის გამო ზვავსაშიშროებაა, რის გამოც აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, **მლეთა-გუდაურის(ფოსტა)** მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა განხორციელდება გაუჩერებლად გავლის რეჟიმში.

ამავე გზის კმ134-კმ135 (დარიალის ხეობა) მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მიმოსვლისას იკრძალება მათი გაჩერება.

აღნიშნული რეჟიმით მოძრაობა განხორციელდება საპატრულო პოლიციის უშუალო ზედამხედველობით და კოორდინაციით.